www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში

2023 წლის ივლისი

06.09.2023
www.geostat.ge

06.09.2023

მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში

2023 წლის ივლისი

2023 წლის ივლისში მშენებლობის ღირებულების ინდექსი **წინა თვესთან შედარებით** 1.6 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად, განპირობებული იყო მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 6.3 პროცენტიანი ზრდით, რამაც 1.28 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში.

2022 წლის თებერვალთან შედარებით მშენებლობის ღირებულების ინდექსი გაიზარდა 9.7 პროცენტით. ინდექსის ზრდა, უმეტესწილად, გამოწვეული იყო მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 26.1 პროცენტიანი ზრდით და სამშენებლო მასალების 5.7 პროცენტიანი გაძვირებით, რამაც, შესაბამისად, 5.79 და 3.17 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2023 წლის ივლისში მშენებლობის ღირებულების ინდექსები წინა თვესთან და 2022 წლის თებერვალთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ხარჯების კატეგორიების შესაბამისი წვლილები.

ხარჯების კატეგორიები	2023 წლის ივნისთან	წვლილი* თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2022 წლის თებერვალთან	წვლილი* 2022 წლის თებერვალთან ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
ჯამური CCI	**101.6**	**1.56**	**109.7**	**9.73**
სამშენებლო მასალები	100.3	0.18	105.7	3.17
ხელფასები	106.3	1.28	126.1	5.79
მანქანა-დანადგარები	102.0	0.06	122.8	1.16
ტრანსპორტირება, საწვავი, ელექტროენერგია	100.6	0.04	95.9	-0.75
სხვა ხარჯები	100.0	0.00	106.2	0.37

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

06.09.2023

მშენებლობის ღირებულების ინდექსის ცვლილება, %
(წინა თვესთან შედარებით)



მშენებლობის ღირებულების ინდექსის ცვლილება, %
(2022 წლის თებერვალთან შედარებით)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული, ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge